ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4479995

ნომერი: AR1676785

თარიღი : 23.04.2019

გაცემის თარიღი : 30.04.2019

გაცნობის თარიღი : 01.05.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი III , კორპუსი N1-ის მიმდებარედ (ნაკვ.06/107);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ტივაძე პ/ნ 35001029814
- რუსთავი VII მ/რ კორ. 16 ბ. 45

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი #AR1676785 ელექტრონული განაცხადი, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის#20–104 დადგენილების მე–2 მუხლის თანახმად,

სამსახურის მიზნებია სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (შემდგომში თბილისი) ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება, თბილისის განვითარების კონცეფციის შემუშავება, მისი სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების თაობაზე, შესაბამისი კვლევების ჩატარება და რეკომენდაციების მომზადება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება. ასევე მე–3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის ფუნქციებს განეკუთვნება არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი პროცესების მართვა თბილისის ადმინისტრაციული საზღვრებით დადგენილ ტერიტორიაზე.

განცხადებაში მოყვანილი ფაქტების შემოწმება და რეაგირება სცდება სამსახურის კომპეტენციას და უნდა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.